



2024

შპს „სტკბილი ქვეყანა“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-4

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

8

ფინანსური ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი	9
2. მომზადების საფუძვლები	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	18
5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები	19
6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	20
7. ამონაგები	20
8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	20
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
10. მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	21
11. მოგების გადასახადი	21
12. ძირითადი საშუალებები	22
13. წინასწარ გადახდები	23
14. აქტივი გამოყენების უფლებით	23
15. მარაგები	24
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
17. დეპოზიტები	24
18. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
19. საწესდებო კაპიტალი	25
20. საიჯარო ვალდებულებები	25
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
22. საგადასახადო ვალდებულება	26
23. ფინანსური რისკის მართვა	26
24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	28
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	29

მმართველობის ანგარიშგება

30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტკბილი ქვეყნის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტკბილი ქვეყნის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენს შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალდება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

მპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

21 ივლისი 2025

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღევატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

21 ივლისი 2025



შპს „ტკბილი ქვეყანა“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	7	37,005,718	35,555,777
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(21,180,980)	(20,777,241)
საერთო მოგება		15,824,738	14,778,536
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,582,635)	(1,831,170)
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	10	(10,086,907)	(8,846,630)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(130,848)	(1,475)
საოპერაციო მოგება		4,024,348	4,099,261
არასაოპერაციო შემოსავალი		132,186	120,210
ფინანსური შემოსავალი	17	111,468	-
ფინანსური ხარჯი	20	(649,993)	(446,635)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(314,393)	6,754
საკუროსო სხვაობის წმინდა შედეგი		(25,377)	3,113
მოგება დაბეგვრამდე		3,278,239	3,782,703
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(256,933)	(166,952)
წლის წმინდა მოგება		3,021,306	3,615,751
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,021,306	3,615,751

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 21 ივლისი:

ლია ზარიძე
(დირექტორი)

ნათელა ლობჯანიძე
(მთავარი ბუღალტერი)

9-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ტკბილი ქვეყანა“


მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	7	37,005,718	35,555,777
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(21,180,980)	(20,777,241)
საერთო მოგება		15,824,738	14,778,536
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,582,635)	(1,831,170)
მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	10	(10,086,907)	(8,846,630)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(130,848)	(1,475)
საოპერაციო მოგება		4,024,348	4,099,261
არასაოპერაციო შემოსავალი		132,186	120,210
ფინანსური შემოსავალი	17	111,468	-
ფინანსური ხარჯი	20	(649,993)	(446,635)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(314,393)	6,754
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი		(25,377)	3,113
მოგება დაბეგვრამდე		3,278,239	3,782,703
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(256,933)	(166,952)
წლის წმინდა მოგება		3,021,306	3,615,751
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,021,306	3,615,751

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 21 ივლისი:


ლია ზარიძე
 (დირექტორი)




ნათელა ლობჯანიძე
 (მთავარი ბუღალტერი)

9-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ტკბილი ქვეყანა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 *(გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	6,560,774	6,563,452
არამატერიალური აქტივები		23,902	29,733
წინასწარ გადახდები	13	318,687	151,930
აქტივი გამოყენების უფლებით	14	6,116,511	5,156,797
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,019,874	11,901,912
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	15	4,050,728	4,550,362
აქტივის დაბრუნების უფლება		57,719	62,257
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	5,900,235	4,654,956
საგადასახადო აქტივი		-	138,011
წინასწარ გადახდები	13	626,986	262,717
დეპოზიტები	17	2,582,000	1,500,000
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	449,550	844,024
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,667,218	12,012,327
სულ აქტივები		26,687,092	23,914,239
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	200	200
გაუნაწილებელი მოგება		16,934,355	15,287,562
სულ კაპიტალი		16,934,555	15,287,762
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	20	6,665,932	5,617,279
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,665,932	5,617,279
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	20	432,551	298,915
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება		100,630	107,039
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	2,139,841	2,603,244
საგადასახადო ვალდებულებები	22	413,583	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,086,605	3,009,198
სულ ვალდებულებები		9,752,537	8,626,477
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		26,687,092	23,914,239

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 ივლისს:

ლია ზარიძე
 (დირექტორი)

ნათელა ლობჯანიძე
 (მთავარი ბუღალტერი)

9-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)


	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 *(გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	6,560,774	6,563,452
არამატერიალური აქტივები		23,902	29,733
წინასწარ გადახდები	13	318,687	151,930
აქტივი გამოყენების უფლებით	14	6,116,511	5,156,797
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,019,874	11,901,912
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	15	4,050,728	4,550,362
აქტივის დაბრუნების უფლება		57,719	62,257
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	5,900,235	4,654,956
საგადასახადო აქტივი		-	138,011
წინასწარ გადახდები	13	626,986	262,717
დეპოზიტები	17	2,582,000	1,500,000
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	449,550	844,024
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,667,218	12,012,327
სულ აქტივები		26,687,092	23,914,239
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	200	200
გაუნაწილებელი მოგება		16,934,355	15,287,562
სულ კაპიტალი		16,934,555	15,287,762
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	20	6,665,932	5,617,279
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,665,932	5,617,279
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	20	432,551	298,915
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება		100,630	107,039
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	2,139,841	2,603,244
საგადასახადო ვალდებულებები	22	413,583	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,086,605	3,009,198
სულ ვალდებულებები		9,752,537	8,626,477
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		26,687,092	23,914,239

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 ივლისს:


ლია ზარიძე
 (დირექტორი)




ნათელა ლომანიძე
 (მთავარი ბუღალტერი)

9-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ტკბილი ქვეყანა“**კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 19)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	200	14,601,918	14,602,118
სულ წლის სრული შემოსავალი	-	3,615,751	3,615,751
გადახდილი დივიდენდები	-	(2,930,107)	(2,930,107)
31 დეკემბერი 2023	200	15,287,562	15,287,762
სულ წლის სრული შემოსავალი	-	3,021,306	3,021,306
გადახდილი დივიდენდები	-	(1,374,513)	(1,374,513)
31 დეკემბერი 2024	200	16,934,355	16,934,555

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 ივლისს:

ლია ზარიძე
(დირექტორი)

ნათელა ლობჯანიძე
(მთავარი ბუღალტერი)

9-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ტკბილი ქვეყანა“


კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 19)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	200	14,601,918	14,602,118
სულ წლის სრული შემოსავალი	-	3,615,751	3,615,751
გადახდილი დივიდენდები	-	(2,930,107)	(2,930,107)
31 დეკემბერი 2023	200	15,287,562	15,287,762
სულ წლის სრული შემოსავალი	-	3,021,306	3,021,306
გადახდილი დივიდენდები	-	(1,374,513)	(1,374,513)
31 დეკემბერი 2024	200	16,934,355	16,934,555

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 ივლისს:


ლია ჯარიძე
 (დირექტორი)




ნათელა ლობჯანიძე
 (მთავარი ბუღალტერი)

9-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ტკბილი ქვეყანა“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 *(გადაანგარიშებული)
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		42,279,196	41,550,032
მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები		(28,522,906)	(28,953,435)
თანამშრომელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები		(6,402,104)	(3,180,281)
გადახდილი გადასახადები		(4,084,203)	(5,120,243)
გადახდილი პროცენტი	20	(649,993)	(482,832)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადახდები		(34,205)	(30,323)
მიღებული პროცენტები	17	111,468	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,697,253	3,782,918
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(348,274)	(465,515)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		30,635	48,664
დეპოზიტზე თანხის განთავსება	17	(1,082,000)	(1,500,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,399,639)	(1,916,851)
საფინანსო საქმიანობა			
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	20	(376,354)	(271,995)
გადახდილი დივიდენდები	19	(1,305,787)	(1,617,059)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,682,141)	(1,889,054)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(384,527)	(22,987)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი		(9,947)	929
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	18	844,024	866,082
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	18	449,550	844,024

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 ივლისს:

ლია ზარიძე
 (დირექტორი)

ნათელა ლობჯანიძე
 (მთავარი ბუღალტერი)

9-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)


	შენიშვნა	2024	2023 *(გადაანგარიშებული)
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		42,279,196	41,550,032
მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები		(28,522,906)	(28,953,435)
თანამშრომელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები		(6,402,104)	(3,180,281)
გადახდილი გადასახადები		(4,084,203)	(5,120,243)
გადახდილი პროცენტი	20	(649,993)	(482,832)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადახდები		(34,205)	(30,323)
მიღებული პროცენტები	17	111,468	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,697,253	3,782,918
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(348,274)	(465,515)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		30,635	48,664
დეპოზიტზე თანხის განთავსება	17	(1,082,000)	(1,500,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,399,639)	(1,916,851)
საფინანსო საქმიანობა			
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	20	(376,354)	(271,995)
გადახდილი დივიდენდები	19	(1,305,787)	(1,617,059)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,682,141)	(1,889,054)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(384,527)	(22,987)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი		(9,947)	929
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	18	844,024	866,082
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	18	449,550	844,024

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 ივლისს:


ლია ჯარიძე
(დირექტორი)




ნათელა ლობჯანიძე
(მთავარი ბუღალტერი)

9-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. შესავალი

(ა) კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ტკბილი ქვეყანა“ (200172785) დაფუძნდა და დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2005 წლის 15 დეკემბერს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მდებარეობს საქართველოში და იმყოფება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს რეგულირების ქვეშ. კომპანიის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჭყონდიდელის ქუჩა N 56.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ტკბილი ქვეყნის“ მფლობელია ამირან ქორთიაშვილი (100%).

ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონდიტრო წარმოება და რეალიზაცია.

ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს კომპანიის დირექტორი. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ტკბილი ქვეყნის“ დირექტორია ლია ზარიძე.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისაგან.

2. მომზადების საფუძვლები

(ა) ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით და ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ არსებით სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

(ბ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) საანგარიშგებო და ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

(ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.7208	2.6279
1 ევრო/ლარი	2.9440	2.8416

(გ) შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(დ) საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

(ე) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია შემოსავალს საქონლის რეალიზაციიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალდებულო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორც კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული ღირებულების დამუშავების საზღაურები.

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

(ვ) აქტივი დაბრუნების უფლებით და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება

კომპანია ცალკე წარადგენს დაბრუნების უფლებასა და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აღნიშნული თანხები წარმოადგენს იმ პროდუქციის თვითღირებულებას რომლის დაბრუნებაც მოსალოდნელია მომხმარებლის მიერ.

(ზ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

(თ) დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელია დღგ ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღგ-ს მიმართ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15% მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდემილებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახდს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არაეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(კ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

3. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

კომპანია არ ფლობს მიწას. შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო ვადა(წელი)
მანქანა-დანადგარები	3-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-12
ელექტრო აღჭურვილობა	2-15
სატრანსპორტო საშუალებები	7-10
სხვა	2-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

(ლ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი საადრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება, გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

(მ) იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(მ) იჯარა (გაგრძელება)

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს გათავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(მ) იჯარა (გაგრძელება)

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანიის საადრიცხო პოლიტიკა ფასს 16-ის მიღების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. როგორც მეიჯარე, კომპანია აკლასიფიცირებს იჯარას, როგორც საოპერაციოს ან ფინანსურს. იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მას გადააქვს ძირითადი რისკები და ანაზღაურება ძირითადი აქტივების საკუთრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

(ნ) სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შეძენაზე. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება „ფიფო“ მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

(ო) წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარ გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარ გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარ გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

(პ) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

(ჟ) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღირიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ჟ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამოზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს (ECL). ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ECL არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

კომპანია დებიტორული დავალიანებებისა და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის შესაბამისად. დებიტორული დავალიანებები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექსპო მითხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ჟ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა სრულად მოხდება თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებულ ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები- ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(რ) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

ღივიდენდები

ღივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. ღივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების

3. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(რ) კაპიტალი (გაგრძელება)

შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

(ს) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეუძლებელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

4. მნიშვნელოვანი საადრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკვირვებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებას, ასევე გაცემულ სესხებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

იჯარის გაგრძელების უფლება

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

აქტივების დაბრუნების უფლებისა და ფულადი სახსრების დაბრუნების მოსალოდნელი ოდენობის აღიარება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს დაბრუნების მოსალოდნელ ოდენობას. ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულების ასაღიარებლად გამოიყენება წარსული პერიოდების ინფორმაცია, კერძოდ, წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში დაფიქსირებული გაყიდვები და დაბრუნების პროცენტულობა. აქტივების დაბრუნების უფლება შეფასებულია როგორც წინა თვეში გაყიდული პროდუქციის ღირებულება ამ პროდუქტებისთვის საშუალო მარჟის გამოყენებით.

5. ახალი და შეცვლილი სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტები თანხვედრაშია იმ სტანდარტებთან, რომელიც გამოყენებული იყო 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ქვემოთ მითითებულია სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან და ასევე ახალი სტანდარტები რომელთა ადრეული გამოყენების შესაძლებლობა აქვს კომპანიას.

- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში: საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში;
- ▶ შესწორებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად;
- ▶ ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა თუმცა ჯერ არ შესულა ძალაში:

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება):

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში.

გამომდინარე იქედან რომ კომპანიას ყველა ტრანზაქცია ნომინირებული აქვს გაცვლისუნარიან მქონე ვალუტაში, შესაბამისად მის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს, ზემოთ მოხსენიებული ცვლილება.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიამ, ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კლასიფიკაციის ცვლილების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

2023 წლის 31 დეკემბერი	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
დეპოზიტები	-	1,500,000	1,500,000
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,344,024	(1,500,000)	844,024

7. ამონაგები

ამონაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
მიღებული ამონაგები *	38,236,954	36,552,588
უკან მობრუნებული საქონელი და ფასდათმობა	(1,231,236)	(996,811)
სულ ამონაგები	37,005,718	35,555,777

* როგორც ეს 1-ელ შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანიის საქმიანობაა საკონდიტრო წარმოება და რეალიზაცია.

8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
გამოყენებული ნედლეული და მასალები	14,629,566	14,940,065
ხელფასის დანახარჯები	4,097,683	3,676,027
ცვეთის ხარჯი	852,341	722,966
ელექტროენერგიის და კომუნალური ხარჯები	684,593	702,050
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზება	200,709	211,227
სხვა საწარმოო ზედნაღები ხარჯები	716,088	524,906
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	21,180,980	20,777,241

მპს „ტკბილი ქვეყანა“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ცვეთის ხარჯი	531,421	333,225
ხელფასის ხარჯი	479,469	464,909
მომსახურების ხარჯები	134,298	107,651
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	69,231	441,619
პროფესიული მომსახურების ხარჯები	65,771	65,214
საოფისე ხარჯი	61,940	49,108
სამეურნეო ხარჯი	52,408	41,497
მივლინების ხარჯი	44,597	19,938
სარემონტო და საქსპლუატაციო ხარჯები	33,250	58,390
კომუნიკაციის ხარჯი	18,349	18,297
წარმომადგენლობითი ხარჯი	3,093	471
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი/(აღდგენა)	(16,285)	86,185
სხვა	105,093	144,666
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,582,635	1,831,170

10. მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები

მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრებს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	5,395,568	4,778,232
ხელფასის ხარჯი	3,445,143	3,077,763
საწვავის ხარჯი	542,935	478,886
ავტომანქანის ხარჯი	308,102	237,892
რეკლამის ხარჯი	244,217	128,634
ცვეთის ხარჯი	150,942	107,257
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	-	37,966
სულ მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები	10,086,907	8,846,630

11. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შემოადინებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2024 და 2023 წლებში კომპანიამ გაანაწილა დივიდენდი და შესაბამისად აქვს მოგების გადასახადის ხარჯი 2024 წელს 256,933 ლარი და 2023 წელს 166,952 ლარი.

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ელექტრო აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება						
31 დეკემბერი, 2022	9,877,256	1,191,194	1,059,627	810,847	807,651	13,746,575
შემოსვლები	251,546	352,194	1,213,895	81,303	40,309	1,939,247
გასვლები	(716,896)	(134,260)	(44,567)	(21,406)	(81,164)	(998,293)
31 დეკემბერი, 2023	9,411,906	1,409,128	2,228,955	870,744	766,796	14,687,529
შემოსვლები	520,747	246,926	399,756	55,136	130,149	1,352,714
გასვლები	(569,551)	(119,626)	(20,218)	(4,539)	(476)	(714,410)
31 დეკემბერი, 2024	9,363,102	1,536,428	2,608,493	921,341	896,469	15,325,833
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2022	(5,350,999)	(648,745)	(779,403)	(680,315)	(658,404)	(8,117,866)
ცვეთის ხარჯი	(669,113)	(117,136)	(52,718)	(77,676)	(49,922)	(966,565)
გასვლები	712,757	102,464	43,877	20,885	80,371	960,354
31 დეკემბერი, 2023	(5,307,355)	(663,417)	(788,244)	(737,106)	(627,955)	(8,124,077)
ცვეთის ხარჯი	(629,520)	(143,925)	(238,803)	(59,912)	(70,109)	(1,142,269)
გასვლები	366,402	109,896	20,218	4,447	324	501,287
31 დეკემბერი, 2024	(5,570,473)	(697,446)	(1,006,829)	(792,571)	(697,740)	(8,765,059)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2023	4,104,551	745,711	1,440,711	133,638	138,841	6,563,452
31 დეკემბერი, 2024	3,792,629	838,982	1,601,664	128,770	198,729	6,560,774

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილია 4,127,651 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 3,693,875). 2024 წლის 31 დეკემბრითა და 2023 წლის 31 დეკემბრით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო დატვირთული იპოთეკით მესამე პირის სასარგებლოდ.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ავანსები	318,687	151,930
გრძელვადიანი წინასწარ გადახდები	318,687	151,930
მარაგების შესაძენად გადახდილი ავანსები	548,634	192,455
მომსახურების მისაღებად გადახდილი ავანსები	28,112	27,337
სხვა	50,240	42,925
მოკლევადიანი წინასწარ გადახდები	626,986	262,717
სულ წინასწარ გადახდები	945,673	414,647

14. აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივის გამოყენების უფლება 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	საწარმოო ფართი	სასაწყობე ფართი	საოფისე ფართი	მანქანები	კომერციული ფართი	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	4,001,348	1,680,967	616,593	208,204	169,462	-	6,676,574
დამატება	-	487,870	29,730	-	86,008	32,277	635,885
შეწყვეტა	-	(163,271)	(29,395)	(192,428)	-	-	(385,094)
გასვლა	-	(36,694)	-	(12,592)	-	-	(49,286)
31 დეკემბერი 2023	4,001,348	1,968,872	616,928	3,184	255,470	32,277	6,878,079
დამატება	202,406	49,872	982,736	-	-	-	1,235,014
მოდიფიკაცია	-	163,148	7,112	-	189,030	-	359,290
შეწყვეტა	-	(5,524)	-	-	(49,063)	-	(54,587)
31 დეკემბერი 2024	4,203,754	2,176,368	1,606,776	3,184	395,437	32,277	8,417,796
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2022	(800,270)	(445,380)	(148,337)	(161,237)	(129,273)	-	(1,684,497)
ცვეთის ხარჯი	(199,958)	(118,781)	(30,823)	(36,688)	(32,997)	(1,277)	(420,524)
შეწყვეტა	-	131,007	21,245	182,201	-	-	334,453
გასვლა/ჩამოწერა	-	36,694	-	12,592	-	-	49,286
31 დეკემბერი 2023	(1,000,228)	(396,460)	(157,915)	(3,132)	(162,270)	(1,277)	(1,721,282)
ცვეთის ხარჯი	(213,992)	(220,263)	(101,013)	-	(54,888)	-	(590,156)
გასვლა/ჩამოწერა	-	4,460	-	-	5,693	-	10,153
31 დეკემბერი 2024	(1,214,220)	(612,263)	(258,928)	(3,132)	(211,465)	(1,277)	(2,301,285)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	3,001,120	1,572,412	459,013	52	93,200	31,000	5,156,797
31 დეკემბერი 2024	2,989,534	1,564,105	1,347,848	52	183,972	31,000	6,116,511

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას იჯარით აქვს აღებული საწარმოო, საოფისე და სასაწყობე ფართები, კომერციული ფართი და ავტომანქანები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ხელშეკრულების დარჩენილი ვადა საწარმოო, სასაწყობე და საოფისე ფართის 1-14 წელია, დანარჩენი ობიექტების შემთხვევაში 1-4 წელი.

15. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული და მასალები	2,497,428	2,950,416
შესაფუთი მასალები	782,296	800,151
მზა პროდუქცია	433,392	455,371
საწვავი	7,209	5,033
სხვა მარაგი	330,403	339,391
სულ მარაგები	4,050,728	4,550,362

სასაქონლო მატერიალური მარაგები არაა დატვირთული გირავნობით შესამე ჰირის სასარგებლოდ.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	6,297,421	5,068,427
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(397,186)	(413,471)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,900,235	4,654,956

საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობის ანალიზი:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	327,286
წლის დარიცხვა	99,711
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(13,526)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	413,471
წლის დარიცხვა	77,343
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(16,460)
ჩამოწრა	(77,168)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	397,186

17. დეპოზიტები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღრიცხული აქვს დეპოზიტები, რომლებიც წარმოდგენს ფულად სახსრებს, განთავსებულს კომერციულ ბანკში განსაზღვრული ვადით და საპროცენტო განაკვეთით.

დეპოზიტები აღიარებული და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ფინანსური აქტივები მათი ვადიანობის შესაბამისად. დეპოზიტები აღირიცხება სახელმეკრულებო ღირებულებით, დარიცხული პროცენტის შეტანით, და ანგარიშგების თარიღისთვის არ იკვეთება გაუფასურების რაიმე ნიშნები.

დეპოზიტის ძირითადი მახასიათებლები გამოიყურება შემდეგნაირად:

ბანკი	ვალუტა	დეპოზიტის ოდენობა	განთავსების თარიღი	დასრულების თარიღი	ვადა	წლიური პროცენტი
სს საქართველოს ბანკი	ლარი	1,000,000	26 ივლისი 2024	09 ივლისი 2025	348 დღე	11%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	1,582,000	30 იანვარი 2024	30 იანვარი 2025	366 დღე	10.7%
სს საქართველოს ბანკი	ლარი	1,500,000	26 ივლისი 2023	26 იანვარი 2024	184 დღე	11%

საპროცენტო შემოსავალი - დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც ფინანსური შემოსავალი და აღირიცხება დარიცხვის პრინციპით. მიღებული საპროცენტო შემოსავალი 2024 წლის განმავლობაში შეადგინს 111,468 ლარს (2023: 0 ლარი).

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	399,730	525,538
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	39,842	273,062
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	9,978	45,424
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	449,550	844,024

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარიცხო.

19. საწესდებო კაპიტალი

2005 წლის 15 დეკემბრით დათარიღებული კომპანიის წესდების მიხედვით საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 200 ლარით.

2024 და 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები შესაბამისად 1,374,513 ლარისა და 2,930,107 ლარის ოდენობით.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელი დარჩა.

20. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	432,551	298,915
ქართული ლარი	340,936	261,782
აშშ დოლარი	91,615	37,133
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	6,665,932	5,617,279
ქართული ლარი	6,343,851	5,418,468
აშშ დოლარი	322,081	198,811
სულ საიჯარო ვალდებულებები	7,098,483	5,916,194

საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა 2024 და 2023 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 იანვარი	5,916,194	5,651,740
შემოსვლა/მოდიფიკაცია	1,594,304	635,885
საპროცენტო ხარჯი	649,993	446,635
გადასახადები წლის განმავლობაში	(1,026,347)	(754,827)
შეწყვეტა	(50,960)	(61,242)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	15,299	(1,997)
31 დეკემბერი	7,098,483	5,916,194

კომპანია იჯარით იღებს ძირითადად საწარმოო, სასაწყობო და საოფისე ფართებს. საიჯარო ხელშეკრულების დიდი ნაწილი ლარშია დენომინირებული. საიჯარო პირობები განსხვავდება სხვადასხვა საიჯარო ხელშეკრულებების შემთხვევაში. იჯარები, როგორც წესი, გრძელდება 1-5 წლამდე მინიმალური არა-გაუქმებადი პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული პერიოდის შემდეგ იჯარის განახლების შესაძლებლობით. საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის იმ პერიოდის გონივრულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია მის განსჯას აფუძნებს ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც საშუალებას იძლევა, რომ ისეთი ფაქტორები როგორებიცაა, ეკონომიკური ჯარიმები, იურიდიული მიდგომა იჯარის განახლებასთან დაკავშირებით და რეგულაციის მოსალოდნელი ცვლილებები, ეფექტურად იყოს ასახული იჯარის ვადის შეფასებაში.

იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანია ახორციელებს მისი საიჯარო გადახდების დისკონტირებას მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით, იჯარის აღიარების თარიღისთვის. კომპანიის მიერ გამოყენებული ზღვრული სასესხო განაკვეთი არის 7.2%-14.4% ფარგლებში.

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	2,006,736	2,494,799
გადასახდელი ხელფასები	133,105	108,445
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,139,841	2,603,244

22. საგადასახადო ვალდებულება

გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების N 407 შესაბამისად.

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,640,630 ლარს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,836,710 ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 2,480,428 ლარს.

23. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობელობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებული უცხოურ ვალუტაში გამოიყურება შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	5,900,235	4,654,956
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	49,820	318,486
სულ ფინანსური აქტივები		5,950,055	4,973,442

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საიჯარო ვალდებულებები	20	7,098,483	5,916,194
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	2,139,841	2,603,244
სულ ფინანსური ვალდებულებები		9,238,324	8,519,438

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ 2024 და 2023 საანგარიშგებო წლის ბოლოს:

2024	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	6,675	469,901	(463,226)
ევრო	1,127	598	529
სულ	7,802	470,499	(462,697)

2023	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2023 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	18,222	292,149	(273,927)
ევრო	25,023	598	24,425
სულ	43,245	292,747	(249,502)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 15%-ით გამყარება	(69,484)	(41,089)
აშშ დოლარის 15%-ით გაუფასურება	69,484	41,089
ევროს 15 %-ით გამყარება	79	3,664
ევროს 15 %-ით გაუფასურება	(79)	(3,664)

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელმწიფოებრივ ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლიდან ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	449,550	-	-	449,550
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,900,235	-	-	5,900,235
სულ ფინანსური აქტივები	6,349,785	-	-	6,349,785
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,139,841	-	-	2,139,841
საიჯარო ვალდებულებები	432,551	1,860,352	4,805,580	7,098,483
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,572,392	1,860,352	4,805,580	9,238,324
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	3,777,393	(1,860,352)	(4,805,580)	(2,888,539)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2023	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლიდან ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	844,024	-	-	844,024
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,654,956	-	-	4,654,956
სულ ფინანსური აქტივები	5,498,980	-	-	5,498,980
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,603,244	-	-	2,603,244
საიჯარო ვალდებულებები	298,915	1,751,494	3,865,785	5,916,194
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,902,159	1,751,494	3,865,785	8,519,438
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	2,596,821	(1,751,494)	(3,865,785)	(3,020,458)

24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები. ქვემოთ, ცხრილის სახით, მოცემულია იმ გარიგებების საერთო მოცულობა, რომლებიც დაიდო შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

აქტივი გამოყენების უფლებით	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა დაკავშირებული მხარე	4,655,883	4,852,318
სულ აქტივი გამოყენების უფლებით	6,116,511	5,156,797
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა დაკავშირებული მხარე	1,537	7,637
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,900,235	4,654,956
საიჯარო ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა დაკავშირებული მხარე	6,544,058	5,604,279
სულ საიჯარო ვალდებულებები	7,098,483	5,916,194
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა დაკავშირებული მხარე	155,297	1,336,977
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,139,841	2,603,244

24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2024	2023
სხვა დაკავშირებული მხარე	400,894	838,032
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	21,180,980	20,777,241
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
სხვა დაკავშირებული მხარე	151,437	112,903
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,582,635	1,831,170
ფინანსური ხარჯი წმინდა	2024	2023
სხვა დაკავშირებული მხარე	589,440	149,929
სულ ფინანსური ხარჯი	649,993	446,635

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2024 წელს შეადგინა 111,903 ლარი (2023: 111,865 ლარი).

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად დამტკიცდა 2025 წლის 21 ივლისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა 982,253 ლარის და გაანაწილა 933,141 ლარის ოდენობის დივიდენდი.
- 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ შეიძინა 441,681 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალება.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს ტკბილი ქვეყანა

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „ტკბილი ქვეყანა“ (კომპანია), რომელიც წარმოადგენს საკონდიტრო ნაწარმის წამყვან მწარმოებელს საქართველოში, დაფუძნდა და დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2005 წლის 15 დეკემბერს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მდებარეობს საქართველოში და იმყოფება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს რეგულირების ქვეშ. კომპანიის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჭყონდიდელის ქუჩა N 56.

შპს „ტკბილი ქვეყნის“ მფლობელია ამირან ქორთიაშვილი (100%). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და ვაჭრობა. შპს „ტკბილი ქვეყნის“ დირექტორია ლია ზარიძე.

2006 წლის ივნისიდან კომპანია ადგილობრივ ბაზარს აწვდის პროდუქციის ფართო ასორტიმენტს შემდეგი ძირითადი მიმართულებით: შაქროვანი ნამცხვარი (შიგთავსისა და შიგთავსის გარეშე), ფენოვანი ცომის ნაწარმი, ვაფლი, კრეკერი, გალეტი, თაფლკვებები, ზეფირი, მარმელადი, შოკოლადის სარკალი, მომინანქრებული კანფეტები, ტორტები, ტკბილღვეულები, გაყინული ნახევარფაბრიკატები.

კომპანია აკმაყოფილებს საერთაშორისო ISO 22000: 2005 სტანდარტის მოთხოვნებს, რომლებიც ეფუძნება HACCP-ის პრინციპებს. იგი მუდმივად აკონტროლებს წარმოების მთლიან ჯაჭვს - ნედლეულის მიღებას და შენახვას, წარმოების პროცესს, მზა პროდუქციის შენახვას და მის განაწილებას მომხმარებელზე.

ტკბილი ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობებს წარმოადგენს:

- მაღალი ხარისხის პროდუქცია;
- ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე, საჭიროებებსა და ტენდენციებზე ადაპტირების უნარი;
- მრავალფეროვანი ასორტიმენტი;
- ხელმისაწვდომი ფასები.

2025 წლის პროგნოზი

2025 წელს შპს „ტკბილი ქვეყანა“ 2024 წელთან შედარებით აპირებს ადგილობრივ რითეილ ქსელებში პროდუქციის განთავსების მნიშვნელოვნად გაზრდას. ეს მიიღწევა ახალი გემოების დამატებით და პროდუქციის ხაზების შექმნით. ეს გაზრდის მის ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობას და გაამარტივებს ქსელურ მაღაზიებში გაყიდვების პროცესს. 2025 წელს იგეგმება ახალი დანადგარების შეძენა/დამონტაჟება. ძირითადი მიმართულებები იქნება შეფუთვის დანადგარები, რითიც გაიზრდება ცალობის შეფუთვები, რაც განაპირობებს ასორტიმენტის გაზრდას. ასევე იგეგმება გაყინული ნახევარფაბრიკატების მიმართულებით სხვადასხვა პროდუქტის დამატება.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქუჩა N 56 - ში. ამავე მისამართზე ფიქსირდება მისი სასაწყობო და საწარმოო ფართებიც. კომპანია, ასევე, ფლობს, იჯარით აღებულ სასაწყობო ფართებს ისეთ რეგიონულ ცენტრებში, როგორიცაა: ქ. საგარეჯო, სოფ. ქვემო ყანდაურა; ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის 292; ახალციხე, სოფ კლდე, მე-5 ქუჩა, #2; ქ. გორი, პუშკინის 2 ნაკ 366; ქ. ქუთაისი. ნიკეას II ჩიხი N 1; ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუხი, 1-ლი ქუჩა, N 155.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია მუდმივად აწარმოებს ბაზარზე არსებული კონკურენტებისა და ფასების შესწავლას. კონკურენციის ამადლების მიზნით იგი ახორციელებს სარეკლამო კამპანიებსაც, მაგ: სარეკლამო სტენდის დაქირავება, რეკლამის განთავსება სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობაში. ამ მიზნებით გაწეული რესურსები მთლიანად უკავშირდება კომპანიის შიდა ძალებს და არა გარე ოფიციალურ კვლევას.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის წლიურმა წმინდა მოგება 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 3,021,306 ლარი. 2023 წლის მონაცემებთან (2023 წელს წმინდა მოგება შეადგინა 3,615,751 ლარი) შედარებით მოგების სიდიდე შემცირებულია, რაც განპირობებულია მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯების ზრდით. კომპანიის როგორც 2024, ასევე 2023 წლის ბოლოს გააჩნია უარყოფითი წმინდა ფულადი ნაკადები. კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები დადებითია. კომპანია მნიშვნელოვან ფულად ნაკადებს გაიღებს ძირითადი საშუალებების შეძენის მიზნით (რაც წარმოქმნის უარყოფით ფულად ნაკადებს საინვესტიციო ფულად ნაკადებში) და ასევე გაცემს დივიდენდებს. 2024 წელს წინა ფულადი სახსრები მნიშვნელოვნად არის შემცირებული მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ზრდის გამო.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. აქედან გამომდინარე, მას არ გააჩნია საკუთარი აქციები, აგრეთვე იგი არ ფლობს და არ ვაჭრობს სხვა კომპანიის აქციებით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვასა და შიდა კონტროლის პროცედურაზე. კომპანია ცდილობს დანერგოს რისკების მართვის ეფექტური პროცესი კომპანიის ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობაში. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც რისკის გარკვეულ დონეს მაინც შეიცავს, მიიღება აღმასრულებელ პირებთან შეთანხმებით.

ქვემოთ ჩამოთვლილია კომპანიის მთავარი პოტენციური რისკები:

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები - მოთხოვნა კომპანიის პროდუქციაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე, რაც თავის მხრივ, აისახება კომპანიის გაყიდვების მოცულობაზე. კომპანია ოპერირებს მხოლოდ ქართულ ბაზარზე, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ისეთი რისკების წარმოქმნასთან, რომლებიც ნაკლებად მოსალოდნელია განვითარებულ ბაზარზე, მაგ: ქართული ლარი არ არის ქვეყნის ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რაც წარმოქმნის ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის (სავალუტო) რისკებს. კომპანია ახორციელებს ნედლეულისა და ძირითადი საშუალებების იმპორტირებას საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე იხდის საიჯარო გადასახადების ნაწილს უცხოურ ვალუტაში, ამიტომ, ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებული პროცესები მის ფულად ნაკადებზე უარყოფითად აისახება. ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს ნედლეულის ღირებულების ზრდასაც, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდა, ხოლო ბაზარზე არსებული კრიზისული პერიოდის პირობებში, როდესაც მყიდველთა გადახდისუნარიანობა შემცირებულია, მოთხოვნა გაძვირებულ პროდუქციაზე შემცირდება. სხვა შემთხვევაში, სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების მიზნით, კომპანიას მოუწევს მოგების მარჟის შემცირება, რაც, ასევე, უარყოფითად აისახება მასზე. აღსანიშნავია, რომ კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სასესხო დავალიანება, რაც მისთვის გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს.

რისკის უმთავრესი სახეები: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,900,235	4,654,956
ფული და ფულის ეკვივალენტები	49,820	318,486
სულ ფინანსური აქტივები	5,950,055	4,973,442

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საიჯარო ვალდებულებები	7,098,483	5,916,194
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,139,841	2,603,244
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,238,324	8,519,438

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	ფინანსური აქტივი	ფინანსური ვალდებულება	ნეტო პოზიცია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	6,675	469,901	(463,226)
ევრო	1,127	598	529
სულ	7,802	470,499	(462,697)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
ზეგავლენა მოგება-ზარალზე	
აშშ დოლარის 15%-ით გამყარება	(69,484)
აშშ დოლარის 15%-ით გაუფასურება	69,484
ევროს 15 %-ით გამყარება	79
ევროს 15 %-ით გაუფასურება	(79)

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელმეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლიდან ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	449,550	-	-	449,550
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,900,235	-	-	5,900,235
სულ ფინანსური აქტივები	6,349,785	-	-	6,349,785
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,139,841	-	-	2,139,841
საიჯარო ვალდებულებები	432,551	1,860,352	4,805,580	7,098,483
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,572,392	1,860,352	4,805,580	9,238,324
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	3,777,393	(1,860,352)	(4,805,580)	(2,888,539)

შპს „ტკბილი ქვეყანა“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

მოცემული ფინანსური და არა ფინანსური ინფორმაციის გათვალისწინებით კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 ივლისს:

ლია ზარიძე

(დირექტორი)

შპს „ტკბილი ქვეყანა“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

მოცემული ფინანსური და არა ფინანსური ინფორმაციის გათვალისწინებით კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 ივლისს:

ლია ზარიძე

(დირექტორი)

